

სსიპ შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

თემურ ბოკუჩავას სახელობის
აფხაზეთის #7 საჯარო სკოლა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს რექტორი თეონა ხუფენია და მეორე მხრივ, თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის #7 საჯარო სკოლა, რომელსაც წარმოადგენს დირექტორი ოლეგი მიქიაშვილი – საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1

მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის #7 საჯარო სკოლის დაწესებულებას შორის ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას სტუდენტთა სასწავლო მოდულების ფარგლებში და საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით.

აღნიშნული მიზანი გამოიხატება სასწავლო უნივერსიტეტის „ოფისის მენეჯერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული და დარგობრივი კომპონენტების გავლის უზრუნველყოფით.

მუხლი 2

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. ამ მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის #7 საჯარო სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მათი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოცულობისა და დატვირთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლა, თავისი მატერიალური – ტექნიკური ბაზის, ინვენტარის და ადმინისტრაციული პერსონალის ხელმძღვანელობით, სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოფილი მენტორების (ხელმძღვანელების) მეთვალყურეობის ქვეშ.

2.2. მოდულების სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას, რეალურ სამუშაო პირობებში მიიღებენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და კომპეტენციებს.

2.3. მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის #7 საჯარო სკოლა იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, მოახდინოს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამით

განსაზღვრული გეგმის შესაბამისად და შეაფასოს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და კრიტერიუმებით.

2.4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

მუხლი .3.

სასწავლო ბაზის გამოყენების საფასური

- 3.1 წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ბაზით სარგებლობისათვის ღირებულება და გადახდის ფორმა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება ხელშეკრულებით ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იქნება ორივე მხარის ინტერესები.
- 3.2 სასწავლო პროცესის წარმართველი სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტი

მუხლი .4.

მემორანდუმის მოქმედების ვადა

- 4.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

მუხლი .5.

სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

- 5.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით.

- 5.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი
თეონა ხუფენია



თემურ ბოკუჩავას სახელობის
აფხაზეთის #7 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ.სენაკი სამხედრო ქალაქი 4
ტელეფონი: 599 18 46 47
დირექტორი
ოლეგი მიქიაშვილი

